European Association for Local Democracy

## ALDA მაროკოს გვერდით დგას საშინელი მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც ქვეყანა და მისი მოსახლეობა დააზარალა

ALDA-ს მთელი გუნდი და მმართველი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანადგომას უცხადებს მაროკოს და მის მოსახლეობას, რომლებიც დაზარალდნენ საშინელი მიწისძვრის შედეგად, რამაც დიდი დაარტყა მიაყენა ქვეყანას. ძალიან ბევრმა დაკარგა სიცოცხლე, ბევრი დაშავდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კი უსახკაროდ დარჩა. მსხვერპლთა რაოდენობა ყოველ წუთს იზრდება.

ასოციაცია მუდმივ კონტაქტზეა მაროკოელ პარტნიორებთან და უცხადებენ მხარდაჭერას ადგილობრივ ასოციაციებისა და ხელისუფლებას.

ALDA მოუწოდებს ყველა წევრს, ქსელს და საზოგადოებას სოლიდარული აღმოჩნდნენ მაროკოელ ხალხთან ამ კრიტიკულ ვითარებაში, ისევე როგორც, ფონდებსა და დონორებს იმოქმედონ საჭიროებისამებრ. ამჟამად, ასოციაცია აფასებს საკუთარ რესურსებს თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია ქვეყნისთვის.

## ALDA დგას მაროკოელი ხალხის გვერდით ამ რთულ პერიოდში

არაერთი ინიციატივა მიმდინარეობს დაზარალებულ ტერიტორიებზე და ALDA-ს პარტნიორები უკვე მობილიზებულნი არიან ადგილზე სასწრაფო

დახმარების აღმოსაჩენად. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც წამოიწყეს Reseau Euromed France-ის წევრებმა, რომელსაც შეუერთდა ALDA.

1 **Association des Marocains de France**-მა წამოიწყო კომუნიკაციისა და ფონდების მოზიდვის ინიციატივა, რომელიც ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე.

2 ასოციაცია **Migrations & Développement**-მა **Solidarité Laïque**-თან ერთად (იხ.ბმული), წამოიწყო კომუნიკაციისა და ფონდების მოზიდვის ინიციატივა, რომელიც ხელმისაწვდომია მითითებულ ბმულზე.

3 გარდა ამისა, შეგიძლიათ გააზიაროთ ეს ინფორმაცია მეტი ხილვადობისთვის და მხარდაჭერისთვის!

ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში ნუ დავუშვებთ ამ საშინელი ამბის დავიწყებას. რაც უფრო მეტად გავავრცელებთ ინფორმაციას, მით უფრო მეტად შევუწყობთ ხელს ადამიანთა ცნობიერების ამაღლებას საერთაშორისო დონეზე, შედეგად შესაძლებელი იქნება რესურსების მობილიზება და დროულად დახმარების აღმოჩენა.

***

ინფორმაციის მიღების მიზნით ასოციაცია მუდმივ კონტაქტზე რჩება მაროკოელ პარტნიორებთან.